„საერთაშორისო გამჭვირვალობა" 2007 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსს" აქვეყნებს

- **2007 წელს საქართველოს ინდექსი 2.8-დან 3.4-მდე გაუმჯობესდა**
- **საჯარო სექტორის სხვადასხვა სფეროში ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმაა განსახორციელებელი**

26 სექტემბერი, 2007 წელი

თბილისი, საქართველო – დღეს წამყვანმა საერთაშორისო ანტიკორუფციულმა ორგანიზაციამ, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ", რომლის სათავო ოფისიც ბერლინში მდებარეობს, გამოაქვეყნა საერთაშორისო კვლევის, „კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) 2007 წლის შედეგები. ამ კვლევის შედეგად წელს საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 3.4 ქულა მიიღო და გამოკითხული 180 ქვეყნიდან 79-ე ადგილი დაიკავა. „კორუფციის აღქმის ინდექსი" ქვეყნებს აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად მწვავე პრობლემად ასახელებენ პოლიტიკურ კორუფციას ამ ქვეყნებში გამოკითხული ადგილობრივი და უცხოელი ბიზნესმენები და ანალიტიკოსები.

2006 წელთან შედარებით, როცა იგივე კვლევის შედეგად საქართველოს 2.8 ქულა მიენიჭა, წელს მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. საქართველოს ინდექსმა მატება ე.წ. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ იწყო. 2003 წელს ის 1.8 იყო. წელს, ვინაიდან საქართველოსთვის მინიჭებული ქულა 3.0-ს გადასცდა, მიიჩნევა, რომ საქართველო გამოვიდა იმ ქვეყნების სიიდან, სადაც კორუფცია უპირველესი და დაუძლეველი პრობლემაა.

იმის გათვალისწინებით, თუ რა საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას „კორუფციის აღქმის ინდექსი" და ის კვლევები, რომლებიც მის დასადგენად გამოიყენება, ამ ინდექსის შემდგომი გაუმჯობესებისთვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო" ხელისუფლებას მიმართავს წინადადებით, მეტი ყურადღება დაუთმოს:

1. **საჯარო სამსახურის ეფექტურ რეფორმირებას:** ხელისუფლებამ, დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა სისტემას უნდა ემყარებოდეს საქართველოს საჯარო სამსახური და შესაბამისად, დაიწყოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ამ სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი ეფექტურობის ამაღლებისთვის;
2. **საჯარო მოხელეების ქონების შესწავლას:** მნიშვნელოვანია დაიხვეწოს თანამდებობის პირების ფინანსური და ქონებრივი დეკლარაციების შესწავლისა და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, და ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და შეზღუდვის მექანიზმები;
3. **პრევენციული ზომების გააქტიურებას:** კორუმპირებული საჯარო მოხელეების დაპატიმრებების პარალელურად, უნდა მოხდეს იმის ანალიზი, თუ რა ფაქტორები უწყობს ხელს საჯარო სექტორში კორუფციის არსებობას და მეტი აქცენტი გაკეთდეს ამ ფაქტორების აღმოფხვრაზე;
4. **საპროცესო გარიგებების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის გაზრდას:** აუცილებელია, საზოგადოებას მიეწოდოს სრული ინფორმაცია საპროცესო გარიგებების შესახებ, კერძოდ, არსებობდეს ერთიანი მონაცემთა ბაზა, სადაც აღნუსხული იქნება, ვინ რა თანხა გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტში საპროცესო გარიგების საფუძველზე და რა მიზეზით;
5. **საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას:** სამოქალაქო საზოგადოებისათვის საჯარო ინფორმაციის მიწოდება უნდა იქცეს პრიორიტეტად ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისათვის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ რეგიონებში დგას;

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

6. **სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებას**: საჭიროა გაიზარდოს ამ სისტემის გამჭვირვალობა და ეფექტურობა და ასევე, მაქსიმალურად შეიზღუდოს ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევები;
7. **საბიუჯეტო ხარჯების მიზნობრიობას:** ხელისუფლების მიერ გაწეული ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს/პრიორიტეტებს და მის საშუალოვადიან და გრძელვადიან მიზნებს, როგორც ეს ხელისუფლების სტრატეგიულ დოკუმენტებშია გაწერილი;
8. **სასამართლო სისტემის რეფორმირება**: საზოგადოებას უფრო აქტიურად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სასამართლო სექტორში დაგეგმილი და მიმდინარე ცვლილებების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამ სექტორის რეფორმის მეტი ეფექტურობა და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტიტუტის – სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

მეთოდოლოგია

„კორუფციის აღქმის ინდექსი" შეიმუშავა და მას ყოველწლიურად ამზადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობის" სათავო (ბერლინის) ოფისი. ინდექსი ეყრდნობა სხვადასხვა ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელთა შეჯერებული ანალიზის საფუძველზე დგინდება თითოეული გამოკვლეული ქვეყნისთვის მისანიჭებელი ქულა. წელს საქართველოს ქულის გამოსათვლელად შეჯამდა შემდეგი ექვსი კვლევის შედეგები:

1. ბერტელსმანის ფონდის *„ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი" (Bertelsmann Transformation Index)* (2008), რომელიც აფასებს ხელისუფლების უნარს გამოავლინოს და შეზღუდოს კორუფციული ფაქტები;
2. მსოფლიო ბანკის *„ქვეყნების პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება" (Country Policy and Institutional Assessment)* (2007), რომელიც აფასებს კორუფციის დონეს, ინტერესთა კონფლიქტს, საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის შემთხვევებს და ანტიკორუფციული კუთხით გადადგმულ ნაბიჯებსა და მიღწევებს;
3. თავისუფლების სახლის (Freedom House) „გარდამავალი ქვეყნები" *(Nations in Transit)* (2007), რომელიც მთავრობაში კორუფციის გავრცელების დონეს ანტიკორუფციულ ინიციატივების განხორციელებასთან ერთად, ხალხის აღქმისა და მედიის მიერ ასეთი ფაქტების გაშუქების მიხედვით ზომავს;
4. მსოფლიო ხედვის (Global Insight) *„ქვეყნების რისკ რეიტინგი" (Country Risk Rating)* (2007), რომელიც აფასებს საჯარო მოხელეების კორუმპირებულობის სიხშირეს, როგორც მცირე ბიუროკრატიული, ასევე მასშტაბური პოლიტიკური გარიგებების კუთხით;
5. Merchant International Group-ის *„ნაცრისფერი სივრცის დინამიკა"* (*Grey Area Dynamics*) (2007), რომელიც იკვლევს კორუფციის გავრცელების ხარისხს, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირების, ასევე რიგით საჯარო მოხელეებს შორის;
6. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის *„გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა"* (Global Competitiveness Report) (2007), რომელიც ყურადღებას ამახვილებს უკანონო გადასახადებზე და ქრთამებზე დაკავშირებულს მთავრობის სხვადასხვა საქმიანობასთან.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო", წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის" ეროვნულ ბიუროს. მისი ოფისი საქართველოში დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების

ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად ის სწავლობს სხვადასხვა სფეროებში კორუფციის გავრცელების დონეებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, ამ მიზეზების აღმოფხვრის მექანიზმებს და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას და საზოგადოებას. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს მოქალაქეებს აცნობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონებს, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ სიახლეებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას; იკვლევს საერთაშორისო გამოცდილებას იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოში; ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას და მოსახლეობას; ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც ასევე მიმართულია ქვეყანაში კორუფციის დაძლევისკენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან, ხელისუფლებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

საერთაშორისო გამჭვირვალობა - სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა“ არის კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია. მოძრაობა აერთიანებს 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით, დაძლეულ იქნას სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებასა და მხარეების მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეული ქვეყნების დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ.

„კორუფციის აღქმის ინდექსისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სხვა კვლევების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.transparency.ge.

პრესასთან საკონტაქტო პირი: ანი ახალკაცი
(995 32) 92 14 03; 99 93 35
ani@transparency.ge